

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულდო მოსაკრებლით გათვალისწინებული სათარგმნად დასაშვები დოკუმენტების ჩამონათვლის სრულყოფის შესახებ

❖ **ცვლილების სახეობა:** „საკონსულდო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

❖ **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** 2010 წლის 10 დეკემბერს მიღებული იქნა საკონსულდო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი (3655-III), რომელმაც სხვა მომსახურების განაკვეთებთან ერთად, განსაზღვრა დოკუმენტების თარგმნასთან დაკავშირებული რეგულაცია¹ (მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი - საკონსულდო თანამდებობის პირის მიერ შესრულებული თარგმანი ან/და თარგმნის სისწორის დადასტურება - 7 აშშ დოლარი). საგულისხმოა, რომ 2014 წლის 2 მაისს მიღებულმა საქართველოს კანონმა (2376-II ს², ზემოხსენებული ქვეპუნქტის ახალი რედაქცია იხილეთ ქვემოთ), დაავიწროვა იმ დოკუმენტების წრე (განისაზღვრა ჩამონათვალი), რომელთა თარგმნისათვის საკონსულდო მოსაკრებლი გადაიხდებოდა:

- საკონსულდო თანამდებობის პირის მიერ ცნობის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მიწოდების, დიპლომის, ნიშნების ფურცლის, ატესტატის, სერტიფიკატის, პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, მართვის მოწმობის, საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის საკითხებზე გადაწყვეტილების/დასკვნის თარგმანის შესრულება ან/და თარგმანის სისწორის დადასტურება – თითოეული გვერდისათვის 10 აშშ დოლარი.

2014 წლის 2 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების ერთ-ერთ მიზანს შესაძლოა წარმოადგენდა რთული შინაარსობრივი ტექსტის მქონე დოკუმენტების თარგმნის ვალდებულებისგან თავის არიდების ერთგვარი მექანიზმის შექმნა³, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებდა მათი უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების რისკებს (რთული/ სპეციფიური ტერმინოლოგიის შემცველი დოკუმენტების არაშესატყვისად თარგმნა). თუმცა, პრაქტიკაში საქმიანობის განხორციელებას, უნდა გამოევიდნა ის მარტივი ხასიათის სხვა დოკუმენტები, რომელთა თარგმნაც მომსახურების გაწევის მიზნით მნიშვნელოვანია.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის პროცესი მოიცავს - სამოქალაქო აქტების ჩანაწერის⁴

¹ იხ. ბმული: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/63328>

² კანონის პროექტზე თანდართული განმარტებითი ბარათის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ შემდეგ ბმულს: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/135669>

³ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოცემული მომენტისათვის არც საკონსულდო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო/ ნორმატიული აქტებით არ არის განსაზღვრული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა თარგმნის უფლებამოსილება საკონსულდო თანამდებობის პირს გააჩნია.

⁴ სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი არის - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

რეგისტრაციასა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის გაცემას. ამასთან, ამ პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომლის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტითა და 72-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი წარსადგენად საჭირო სხვა სახელმწიფოში გაცემულ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დოკუმენტებთან მიმართებით გათვალისწინებულია ზოგადი ხასიათის ჩანაწერები (შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული დაბადების და გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები), რაც მომსახურების გაწევის პროცესს მოქნილს ხდის. მსგავსი ჩანაწერი გვხვდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 27/07/2011 98 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტშიც, რომლის თანახმადაც თუ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაბადებულ პირს არ გააჩნია პირადობის (ბინადრობის) მოწმობა, ან ვერ უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას, მათ ნაცვლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დაბადების მოწმობა ან შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის ვინაობას, მისი დაბადების ფაქტს და მშობლების ვინაობას⁵. ხაზი უნდა გაესვას, რომ უცხო სახელმწიფოში გაცემული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები (მათ შორის სამოქალაქო აქტის ჩანაწერები) გამოიყენება არა მხოლოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილების ფარგლებში მომსახურების გაწევისას, არამედ „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ძირითადი საკონსულო ფუნქციების შესრულების დროსაც, რაც კიდევ მეტად აქტუალურს ხდის ზემოხსენებულ საკითხს.

- იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია: საკონსულო მოსაკრებლის თანხის აღების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა ყველა იმ ქმედებასთან (დოკუმენტის თარგმნა) მიმართებით, რომელთა პრაქტიკაში უზრუნველყოფა ხორციელდება.

სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროცედურას ითვალისწინებს მთელი რიგი უცხო სახელმწიფოები. თუმცა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში (და შესაძლოა აზიის ქვეყნებშიც) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, ნაცვლად რეგისტრაციის მოწმობისა, გარდა რეგისტრაციის ფაქტის დამადასტურებელ სხვა სახელწოდების დოკუმენტისა (არა

სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, ხოლო სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა არის - სამოქალაქო აქტის ჩანაწერის საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციას.

⁵ საქართველოს მთავრობის 01/09/2014 520 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით მოცემული ჩანაწერით საქართველოს ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას, ნათესაური კავშირის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია, როგორც სამოქალაქო მდგომარეობის მოწმობებით, ასევე, დოკუმენტებით (რაც შემხვედრ საჭიროებაზე უნდა მიუთითებდეს).

მოწმობის სახით), ასევე შეიძლება გაიცეს სამოქალაქო აქტის ჩანაწერიც. ამ ტიპის დოკუმენტების თარგმნა კი არათანხვედრაში სავარაუდოდ უნდა მოდიოდეს საკონსულო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტების ჩამონათვალთან. ხსენებულ პრობლემას მოსაკრებლის თანხის გადახდევინების მხრივ არაერთგვაროვანი შეხედულებების შექმნაც შეიძლება გამოეწვიოს. ნორმის მოცემული ფორმით დატოვების შემთხვევაში, შესაძლოა შემდგომში დადგეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 21/09/2018 01-210 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოებაც. საკითხის რეგულირების მიზნით საჭიროა „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმის კორექტირება. მაგალითად ქვემოაღნიშნული ფორმით.:


- მუხლი 4, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ზ“: „საკონსულო თანამდებობის პირის მიერ ცნობის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/ სამოქალაქო აქტის ჩანაწერის, დიპლომის, ნიშნების ფურცლის, ატესტატის, სერტიფიკატის, პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, მართვის მოწმობის, საქართველოს მოქალაქეობისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის საკითხებზე გადაწყვეტილების/დასკვნის თარგმანის შესრულება ან/და თარგმანის სისწორის დადასტურება – თითოეული გვერდისათვის 10 აშშ დოლარი“.

❖ კანონპროექტის მიზანი: „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით ხელმძღვანელობისას პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზის რეგულირება.

❖ კანონის პროექტის ძირითადი არსი: კანონის პროექტის ახალი რედაქციის შესაბამისად, კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობის შემდეგ დაემატება სიტყვები: „სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/ სამოქალაქო აქტის ჩანაწერის...“.

❖ საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი:

საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [REDACTED]
მცხ. [REDACTED]; საფოსტო ინდექსი [REDACTED]
ელ. ფოსტა: [REDACTED] მობ.: [REDACTED]



25/07/2022